

“ყველაფერზე, რაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხდება, პასუხისმგებელია რუსეთის ფედერაცია”



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თარაკვაძის თქმით, რუსეთი საქართველოს ტერიტორიების უკანონო ოკუპაციას ახორციელებს, რაზეც მან პასუხი უნდა აგოს.

უსაფრთხოება, მშვიდობა და სტაბილურობა ხერხისუფლებებისთვის ის პრიორიტეტებია, რომლებიც საქართველოში ყველაზე მეტად არის დაცული და მომავალშიც ასე გაგრძელდება.

„რუსეთი ახორციელებს საქართველოს ტერიტორიების უკანონო ოკუპაციას საერთაშორისო სამართლის პრინციპების წინააღმდეგ. ის, რაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხდება და აქ არის არჩილ ტატუნაშვილის საფრავი, ყველაფერზე პასუხისმგებელია, რასაკვირველია, აქვს რუსეთის ფედერაციას, როგორც ოკუპაციაზე პასუხისმგებელ სახელმწიფოს და მის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. მათ შორის, რა თქმა უნდა, რუსეთის პრეზიდენტს.“

რაც უნდა მოხდეს, რა პროვოკაციებიც არ უნდა განახორციელოს რუსეთის ფედერაციამ, გვესმის ჩვენი პასუხისმგებლობა, გვესმის, საქართველოსთვის რაოდენ მნიშვნელოვანია უსაფრთხოება, მშვიდობა და დემოკრატიული განვითარება. სწორედ ამიტომ, ჩვენი ხერხისუფლების პირობებში, უსაფრთხოება, მშვიდობა და სტაბილურობა ის პრიორიტეტებია, რომლებიც ყველაზე მეტად არის ქვეყანაში გარანტირებული და იქნება მომავალშიც.

გითხარით, 2008 წლის აგვისტოში ჯარისკაცებმა იბრძოდეს ბოლომდე, მოსახლეობამ განიცადა დიდი ტანჯვა. სამწუხაროდ, დავკარგეთ ტერიტორიები და ეს არის ამ ომის ტრაგედია. თუ როგორ მოიქცა მაშინდელი ხერისუფლება, მაგარიტად, მოსახლეობის ევაკუაციის გარეშე დატოვება, ან როდესაც ჯარისკაცები ბოლომდე იბრძოდნენ, სად იყვნენ მაშინ ხერისუფლების წარმომადგენლები. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, არის სხვა განსჯის საგანი.

დღეს, 2020 წლის 8 აგვისტოს, ომიდან 12 წლის შემდეგ, ჩვენ ყვერას გვაერთიანებს ის ტკივილი, რასაც ჰქვია ჩვენი გმირი ჯარისკაცების დაკარგვა და გვაერთიანებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ამოცანა“, – განაცხადა თარაკვაძემ.